პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო


ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 14 (19)

29 VII 1990

### მრავალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა და სახალხო ფრონტის რადიკალური კავშირის

## განცხადება

მიუხედავად მრავალგზისი სიტყვიერი განცხადებისა საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების მომზადებისა და ჩატარების თაობაზე, დღევანდელი კომუნისტური ხელმძღვანელობა საქმით ყოველმხრივ ხელს უშლის ამ პროცესის ნორმალურ განვითარებას: დღემდე არ გამოქვეყნებულა არჩევნების კანონის პროექტი, რომელიც თვით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებით ერთობლივად შეიმუშავეს ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა. ხელოვნურად ყოვნდება უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიღების შემდგომ იქნება მხოლოდ შესაძლებელი შეიქმნას ერთობლივი საარჩევნო კომისია, რომელიც პოლიტიკურ ორგანიზაციათა საარჩევნო რეგისტრაციას მოახდენს, რაც აუცილებელია წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

დაინტერესებულნი ვართ რა ოქტომბერში საქართველოში მაქსიმალურად დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებით, რომლის აუცილებელ წინაპირობადაც მიგვაჩნია რესპუბლიკაში პოლიტიკურად სტაბილური ვითარების არსებობა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ 25 ივლისის საპროტესტო აქცია განაპირობა არსებული ხელისუფლების მოქმედებამ, რომელიც მიმართულია არჩევნების დემოკრატიულობის ილუზიურობის შესაქმნელად, რაც საშუალებას მისცემს ხელისუფლებას, არჩევნებს ჩამოაშოროს ჭეშმარიტი ეროვნული ძალები და ფსევდომრავალპარტიული არჩევნების შედეგობით შეინარჩუნოს მონოპოლია ძალაუფლებაზე. აშკარაა, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ნამდვილ დემოკრატიულ არასაბჭოთა არჩევნებს გამოუცხადა ბოიკოტი და ცდილობს მათ ჩაშლას.

სიტუაციას გარკვეულად ამწვავებს მეზობელ რესპუბლიკებში შექმნილი უაღრესად დაძაბული მდგომარეობა და საპრეზიდენტო ბრძანებულება „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევაში მისი ჩამორთმევის შესახებ“, ამასთანავე 10 აგვისტოსთვის გამოცხადებული ე. წ. თურქ-მესხთა „მშვიდობიანი“ მსვლელობა საქართველოსკენ.

რაც შეეხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადებას, რომელიც დღეს გამოქვეყნდა პრესაში — იგი სხვა არა არის რა, თუ არა აშკარა ცდა, ოპოზიციას გადააბრალონ მათ მიერვე გამოწვეული დღევანდელი რთული ვითარება.

ვითვალისწინებთ რა ყოველივე ზემოთქმულს, ვაცხადებთ: ერთობლივად შემუშავებული საარჩევნო კანონპროექტის ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებისა და უახლოეს ხანში უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევის თარიღის გამოცხადებისთანავე შეწყდება საქართველოში მიმდინარე ყველა საპროტესტო აქცია.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა ყველა შესაძლო გართულებასთან დაკავშირებით დაეკისრება ამ დესტაბილიზაციის ინსპირატორს — საქართველოს არსებულ ხელისუფლებას და პირადად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს — ბატონ გივი გუმბარიძეს!

თბილისი, 1990 წლის 27 ივლისი.

## ღია წერილი

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მთავრობას, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების სამსახური დღეს დიდ მატერიალურ ხარჯს მოითხოვს. ამ ხარჯის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოდის სტიქიით დაზარალებული და სხვა გაჭირვებული ქართველი მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის პროგრამებზე. ეს პროგრამები ვერ სრულდება ფინანსთა უქონლობის გამო, ისევე, როგორც სახლების მშენებლობის პროგრამა ვერ შესრულდა სამშენებლო მასალების უქონლობის გამო (ძირითადად, რუსეთის მიერ საქართველოსთვის ფაქტობრივად გამოცხადებული ბლოკადის, საქართველოში ყველაზე საჭირო ტვირთთა შემოტანის ფაქტობრივი შეწყვეტის გამო). ამავე დროს საქართველო თავისი ხარჯით განაგრძობს მშენებლობას სომხეთის სტიქიით დაზარალებულ რაიონებში. დღემდე ზემოხსენებული პროგრამისათვის დახარჯულია სულ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. ამ თანხაში დაახლოებით ნახევარი შეადგინა ხალხის მიერ შეგროვილმა და ორგანიზაციების მიერ გაღებულმა ფულმა (ციფრებს შეგნებულად არ ვაზუსტებ, რათა თავი დავიზღვიო შესაძლო შეცდომისაგან). პროგრამის შესრულებას დღესდღეობით სჭირდება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი.

შეგახსენებთ, რომ:

ა) დღეს საქართველოს ინტერესებისათვის საჭირო ზემოხსენებული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა არა არის რა, თუ არა კომუნისტური ბიუროკრატიული აპარატის მიერ წლების მანძილზე ნაწილ-ნაწილ გაყიდული საქართველოს კვლავ გამოსყიდვის ხარჯი.

ბ) საქართველოს წმინდა ადმინისტრაციული ძარცვის მასშტაბები (გარდა ზოგადი კოლონიური ძარცვისა) წელიწადში მილიარდობით მანეთს შეადგენს.

თქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ საქართველოს მთავრობის დაუყოვნებლივ ანგარიშგებას საზოგადოებრიობის წინაშე იმის თაობაზე, თუ:

ა) როგორ ნაწილდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შემოსავლები;

ბ) როგორ და ვის მიერ ხდება საქართველოს ტერიტორიის და მისი ბუნებრივი რესურსების ფასიანი ან უსასყიდლო გამოყენება.

ცხადია, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მოქმედება.

დაე, საქართველოს სიმდიდრე მისი ერთადერთი კანონიერი მფლობელის — თვით ერის ხელში იყოს და საქართველოს სამსახურს მოხმარდეს!

საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნ. ნათაძე

## ჩვენი პუბლიკაციის პასუხად

### გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ღია წერილი, რომელიც გვაცნობდა უდანაშაულოდ დასჯილი, მკვლელობაში უსაფუძვლოდ ეჭვმიტანილი ადამიანების ბედს. იქვე დაიბეჭდა საქმის ერთ-ერთი მონაწილის“ აღსარება „შიში“.

გაზეთ „საქართველოს“
რედაქტორს პატივცემულ
მ. ფაჩუაშვილს

გაზეთ „საქართველოში“ (№2, 1990 წ.) გამოქვეყნებული მოქალაქეთა ღია წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ გ. ა. ლომთაძის, თ. ა. ექვთიმიშვილის და ს. ს. კახიანის ბრალდების საქმეზე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პლენუმში ჩვენს მიერ შეტანილია საზედამხედველო პროტესტი სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმებისა და საქმეზე დამატებითი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით.

ა. კარანაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**რედაქციისაგან:** ჩვენს მკითხველებს კარგად ახსოვთ ხსენებული ღია წერილი. ამას ადასტურებს რედაქციაში შემოსული მრავალი გამოხმაურება. საზოგადოება აღაშფოთა მომხდარმა უკანონობამ. არც ის არის გასაკვირი, რომ საზოგადოებას აღარ სჯერა სამართალდამცავი ორგანოებისა, მითუმეტეს, ამ საქმის ძიებასთან დაკავშირებით. ამიტომ, დაბეჯითებით მოვითხოვთ, ხელახალი გამოძიების პროცესში ჩართული იყოს საქართველოს სახალხო ფრონტისა და გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის წარმომადგენელი.

### ღია წერილი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გივი გუმბარიძეს

უკვე სამწელიწადნახევარია ჩვენი მეგობარი გია ლომთაძე უდანაშაულოდ იხდის სასჯელს მკვლელობის ბრალდებით. მას მისჯილი აქვს 15 წელი, ხოლო მისმა ორმა „თანამონაწილემ“ უკვე მოიხადა დაუმსახურებელი სასჯელი, ერთ-ერთი მათგანი კი სამუდამოდ დაინვალიდდა. ამის შესახებ მრავალჯერ მივმართეთ საპროტესტო განცხადებებით ზემდგომ ორგანოებს. ჩვენი დაშინების და გაჩუმების მიზნით პროკურატურამ აღძრა საქმე გ. ლომთაძის დედის — მარტოხელა პენსიონერი ქალის და ჩვენი — გ. ლომთაძის მეგობრების წინააღმდეგ. რამდენიმე თვის „ძიების“ შემდეგ საქმე შეწყდა ბრალდების დაუდასტურებლობის გამო. ამ ხნის მანძილზე ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ რესპუბლიკის პროკურატურის დამოკიდებულება გ. ლომთაძის საქმის მიმართ აშკარად ტენდენციურია და საკუთარ ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული კანონის ზოგიერთი ვითომდა დამცველი დანაშაულებრივი გზებით ცდილობს სიმართლის დაფარვას. ამ ყველაფრის შესახებ გაზეთ „საქართველოს“ (28. 01. 1990) მეშვეობით ღია წერილით მოგმართეთ თქვენ და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბატონ აკაკი კარანაძეს. პროკურატურის მხრიდან რეაგირებამ არ დააყოვნა და მეორეჯერ (!) აღძრეს საქმე ჩვენს წინააღმდეგ. თუმცა, ერთი თვის ძიების შემდეგ ისევ დახურეს.

უმაღლეს სასამართლოში დაწვრილებით შეისწავლეს გ. ლომთაძის საქმე, რის შემდეგაც მივიდნენ დასკვნამდე, რომ სასამართლო გადაწყვეტილება გაუქმდეს.

ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ გ. ლომთაძე უდანაშაულოა და იგი ეწირება პროკურატურის უწყებრივ ინტერესებს.

გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი ზომები, რათა დაინტერესებულმა პირებმა ხელოვნურად არ გააჭიანურონ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე გ. ლომთაძის საქმის განხილვა.

დაბეჯითებით მოვითხოვთ, პლენუმზე სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში გ. ლომთაძის საპატიმროდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას თავდებით, დამატებითი ძიების დამთავრებამდე და მის სრულ გამართლებამდე. მითუმეტეს, რომ გ. ლომთაძე მძიმედ დაავადმყოფდა და საპატიმროს პირობებში მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

ვიმედოვნებთ, ყურადღებით მოეკიდებით შექმნილ ვითარებას და დაუყოვნებლივ მიიღებთ შესაბამის ზომებს, ვინაიდან ამ საქმის მნიშვნელობა სცილდება ერთეული ტრაგედიის და უკანონობის ფარგლებს და ნათლად ჩანს, თუ რა პირობებში ცხოვრობს ჩვენი საზოგადოება.

### ღია წერილი საქართველოს სსრ პროკურორს ვახტანგ რაზმაძეს

ბატონო ვახტანგ! ვფიქრობთ, თქვენთვის მაინც არ გვჭირდება ახსნა, რომ გ. ლომთაძეს სრულიად უდანაშაულოდ აქვს მისჯილი თხუთმეტი წელიწადი, რომელსაც უკვე სამწელიწადნახევარია იხდის. ალბათ, ისიც კარგად უწყით, რომ არც ჩვენ, მისი მეგობრები ვართ ყაჩაღები. თუმცა, მრავალჯერ გვსმენია პროკურატურიდან წამოსული ამგვარი ბრალდება; ორჯერ საქმეც კი იყო აღძრული ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერაფერი დაგვიმტკიცდა (ან რა უნდა დაგვემტკიცებინა?!).

მოგეხსენებათ, უმაღლესმა სასამართლომ შეისწავლა გ. ლომთაძის საქმე და შეიტანა პროტესტი განაჩენის გაუქმების შესახებ. თქვენ შეგიძლიათ, დააჩქაროთ სამართლის აღდგენის პროცესი, შეგიძლიათ, გარკვეული დროით(!) შეაფერხოთ.

რასაკვირველია, გვესმის, რომ გ. ლომთაძის საქმის ძიებისას დაშვებული მძიმე შეცდომების აღიარება პროკურატურის ინტერესებში არ შედის. თუმცა, არც უმაღლესი სასამართლოს ინტერესებში შედიოდა თავის მიერვე გამოტანილი განაჩენის გაპროტესტება, მაგრამ მან გამოიჩინა პრინციპულობა და ხელახლა ობიექტურად შეისწავლა საქმე.

დაბეჯითებით მოვითხოვთ, გაათავისუფლოთ უდანაშაულოდ დასჯილი გ. ლომთაძე, რომელიც მძიმე ავადმყოფია და სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს, ვინაიდან მის მიერ საპატიმროში გატარებული ყოველი ზედმეტი დღე ზნეობრივ ტვირთად და ცოდვად აწვება ამ საქმეში დამნაშავეებს.

იმედი გვაქვს, ახლა მაინც გამოიჩენთ გონიერებას. თუმცა, არც ის გაგვიკვირდება, თუ პროკურატურა მესამეჯერ აღძრავს საქმეს ჩვენს წინააღმდეგ, რაც ალბათ უკვე სასაცილო იქნება, სატირალი რომ არ იყოს!

**ვასილ მაღლაფერიძე, ხანდრო ანდრონიკაშვილი, ზურაბ ბადრიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, რამაზ რეხვიაშვილი, თემურ რეხვიაშვილი, ლევან ლომიძე, გოგა ხაინდრავა, გია შერვაშიძე, ნიკოლოზ შენგელაია, მამუკა ჟღენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ კანონი

**პროექტი**

# საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ბოლო სესიის ჩატარების შემდეგ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა საკონსულტაციო კომისია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონპროექტის შესამუშავებლად. კომისიის მუშაობაში პარიტეტულ საწყისებზე მონაწილეობის საშუალება მიეცა საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ „დას“-ის („დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის“), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, მრგვალი მაგიდის მონაწილე ორგანიზაციების, საქართველოს კომუნისტური პარტიის, საქართველოს მწვანეთა პარტიის, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიისა და საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რამდენიმე დეპუტატი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს აპარატის თანამშრომლები და ექსპერტი იურისტები.

კომისიამ განიხილა „დას“-ის მიერ წარმოდგენილი კანონის პროექტი და ა. წ. 12 ივლისისთვის რამდენიმე ცვლილებითა და დამატებით მიიღო იგი ქვემოთ წარმოდგენილი სახით.

წარმოდგენილი საარჩევნო სისტემა ემყარება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ა. წ. 20 ივნისის დადგენილებას, რომლის თანახმადაც არჩევნები უნდა ჩატარდეს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე. კანონპროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაციის შემდგომი პერიოდის საარჩევნო კანონმდებლობითი გამოცდილება.

კანონპროექტის უმთავრესი სიახლე ისაა, რომ დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩეველთა ხუთასკაციან ჯგუფებს პეტიციის წარდგენის გზით. დეპუტატობის კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს საქართველოს მხოლოდ ის მოქალაქე, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, ხოლო არჩევის უფლება აქვს საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქის სტატუსი დღემდე არაა დადგენილი, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ის პირნი, რომლებიც კარგად არ იცნობენ საქართველოს პრობლემებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრობის კანდიდატს მოეთხოვება საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნა. სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ ის პირები, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას; იმას, რომ მოხდა თითქმის სრული გამიჯვნა საკანონმდებლო, მმართველობის და სამართალდამცველი ორგანოებისა (იხ. მე-9 მუხლი); იმას, რომ საარჩევნო კომისიების შექმნისას მინიმუმამდეა დაყვანილი ერთპარტიული დიქტატის პირობებში „არჩეული“ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის როლი.

საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ უმცირესობის აზრით: 1) დეპუტატთა რაოდენობა უნდა იყოს 300, 2) აქტიური საარჩევნო უფლებისთვის არ უნდა იყოს ბინადრობის ხუთწლიანი ცენზი, 3) საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს ორი საბჭოს წევრი, 4) უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უნდა ნიშნავდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 8 წევრს, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 6 წევრს, 5) საოლქო საარჩევნო კომისია უნდა ნიშნავდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და 2 წევრს, 6) პარტიის მიერ ერთმანდატიან ოლქებში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატები არ შეიძლება შედიოდნენ პარტიულ სიაში, 7) საარჩევნო ბიულეტენები უნდა იბეჭდებოდეს ქართულ ენასა და, საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობისათვის გასაგებ ენებზეც.

ქვემორე ხელისმომწერი ორგანიზაციები თხოვნით მიმართავენ საქართველოს საზოგადოებას, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვაში და თავისი წინადადებანი წარუდგინონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, ახლა კი — საქართველოს სახალხო ფრონტს (თბილისი, ყაზბეგის ქ. №17).

რადგან ჩვენთვის უცნობია, გამოქვეყნებული იქნება თუ არა წარმოდგენილი კანონის პროექტი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ და განხილული იქნება თუ არა იგი უზენაესი საბჭოს სესიაზე, ამიტომ კომისიის შემადგენლობაში შემავალ რეგისტრირებულ ორგანიზაციებს — „დას“-ს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობასა და საქართველოს სახალხო ფრონტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეაქვთ იგი უზენაესი საბჭოს განსახილველად, რითაც სავალდებულოდ ხდიან მის განხილვას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე.

მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ იქნეს მოწვეული უზენაესი საბჭოს სესია და მიღებულ იქნეს საარჩევნო კანონი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩასატარებლად. მიგვაჩნია, რომ სესიის მოწვევის გაჭიანურება გამოიწვევს ვითარების დესტაბილიზაციას საქართველოში.

**„დას“-ი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, მრგვალი მაგიდის მონაწილე ორგანიზაციები, საქართველოს მწვანეთა პარტია, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, საქართველოს სახალხო ფრონტი.**

## I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. არჩევნების საფუძვლები

**საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — უზენაესი საბჭოს არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.**

უზენაეს საბჭოში აირჩევა 201 დეპუტატი ხუთი წლის ვადით. მათგან 101 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 100 — პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა წევრს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვს.

### მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისთვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის 23 წელი შეუსრულდა და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

ის პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან.

### მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს; საქართველოს მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

### მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: უზენაეს საბჭოში დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

### მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება: კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლინებისადმი დაუშვებელია.

### მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საქართველოს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

### მუხლი 7. მოქალაქეთა, მათ გაერთიანებათა, შრომით კოლექტივთა, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების მონაწილეობა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საქართველოს მოქალაქენი საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, შრომითი კოლექტივები, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები მონაწილეობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

### მუხლი 8. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს (პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მოძრაობებს, კავშირებს და ა. შ. — ტექსტში შემდგომ „პარტიებს“), რომელთა მოქმედებაც ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ გაერთიანებებს — საარჩევნო ბლოკებს და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

პარტია წარმოადგენს საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა დემოკრატიული ფორმებით მონაწილეობს რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.

პარტიებმა პატივი უნდა სცენ საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო სუვერენიტეტის, დემოკრატიის პრინციპებს, ეროვნული თანხმობის იდეას.

ყველა პარტია თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციათა შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

აკრძალულია ისეთი პარტიების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადური შეცვლა, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება. აკრძალულია აგრეთვე ისეთი პარტიების საქმიანობა, რომლებიც ეწევიან ომის პროპაგანდას, ხელყოფენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მოთხოვნებს.

საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს ისეთი პარტიები, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენენ.

### მუხლი 9. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა მათი თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეები, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სამეურნეო დარგის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და მათთან გათანაბრებული პირები, მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის მთავარი სახელმწიფო არბიტრები და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს პროკურორი, მისი ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, საქართველოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავე დროს იყვნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები.

### მუხლი 10. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა, არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები, საარჩევნო ფონდი

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას ადგენს საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩევნების დამთავრების შემდეგ მას ამტკიცებს ახლად არჩეული უზენაესი საბჭო.

ამასთან ერთად, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ თავისი სახსრები, საქართველოს მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების შეწირულობანი. აღნიშნული მიზნით თავისი სახსრების გამოყენების თაობაზე შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები იღებენ გადაწყვეტილებას.

საარჩევნო ფონდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თითოეული პარტიისთვის, საარჩევნო ბლოკისთვის, დამოუკიდებელი კანდიდატისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოყოფილი თანხის გათხკეცებულ ოდენობას. საარჩევნო ფონდს განაგებს მისი განმგებელი, რომელსაც ნიშნავს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირი, საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხელმძღვანელი პირები, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი და რომელსაც მისი [illegible] განცხადების საფუძველზე საქართველოს შემნახველი ბანკი უხსნის ანგარიშს წარწერით „საარჩევნო ფონდი“.

არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არა უგვიანეს 2 თვისა.

არჩევნების დამთავრების შემდეგ, თუ პარტიულმა სიამ მოაგროვა ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა, პარტიის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება პარტიის ანგარიშზე, საარჩევნო ბლოკისა — თანაბრად მასში შემავალი პარტიების ანგარიშებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატისა — მისი განკარგულებით საქართველოს რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშზე.

არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, არა უგვიანეს ერთი თვისა, ცენტრალური საარჩევნო კომისია და არჩევნებში მონაწილე პა-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

**გაგრძელება**

რტიები, საარჩევნო ბლოკები და უზენაესი საბჭოს წევრებად არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები საჯაროდ აქვეყნებენ. არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები, ხოლო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისას — საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში უფასოდ გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოები უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ მასალებს, არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს ამ კანონით დადგენილ ფარგლებში.

### მუხლი 11. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები ღიად და საჯაროდ. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს, ამომრჩეველთა სიებს, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ნუსხას, მათ მიერ პერსონალურად წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა სიებს, მათ საარჩევნო პროგრამებს, აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების თითო წარმომადგენელს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, დამკვირვებლებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში, საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე, — დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების, პერსონალურად წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატებისა და პარტიების (საარჩევნო ბლოკების) თითო წარმომადგენელსაც.

წარმომადგენელთა უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საბუთით ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ხელმძღვანელი ორგანოების სხდომების ოქმების ამონაწერებით, დამოუკიდებელი და პერსონალურად წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატისა და პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ხელმძღვანელი პირის (ხელმძღვანელ პირთა) წარდგინებით. წარდგინება და ოქმის ამონაწერი შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, პარტიები, საარჩევნო ბლოკები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საშუალება ეძლევა ყოველ დილით საქართველოს რადიოთი და ყოველ საღამოს საქართველოს ტელევიზიით გადასცეს ოპერატიული ინფორმაცია. ინფორმაციას გადასცემს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან კომისიის მიერ ამ მიზნით საგანგებოდ დანიშნული პირი. ამისათვის კომისიას, მისი მოთხოვნით, გამოეყოფა სათანადო დრო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომების ანგარიშებს, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სისტემატურად აქვეყნებენ რესპუბლიკური გაზეთები, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებისას — შესაბამისი რაიონული (საქალაქო) გაზეთები.

### მუხლი 12. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

ვინც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლის იმას, რომ საქართველოს მოქალაქემ თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება აირჩიოს და იყოს არჩეული დეპუტატად საქართველოს უზენაეს საბჭოში, ეწევა წინასაარჩევნო აგიტაციას, ვინც ერევა საარჩევნო კომისიების მუშაობაში და ხელს უშლის საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატის რეგისტრაციასთან, საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას, აგრეთვე საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება, თანამდებობის პირებს, რომლებმაც საარჩევნო კომისიებს არ წარუდგინეს საჭირო მასალები და მონაცემები ან არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებმაც გამოაქვეყნეს ან სხვა საშუალებით გაავრცელეს დეპუტატობის კანდიდატის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები ან აგიტაციას ეწეოდნენ არჩევნების დღეს.

იმ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს, რომლებიც დაუშვებენ ამ კანონით დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრული ოდენობის გადამეტებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოერთმევათ საქართველოს უზენაეს საბჭოში მათ მიერ მოპოვებული მანდატები და 6 წლით ეკრძალებათ უზენაესი საბჭოს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის უფლება, ხოლო დამოუკიდებელ კანდიდატს იმავე ვადით ჩამოერთმევა უფლება არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაეს საბჭოში.

## II. არჩევნების დანიშვნა. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

### მუხლი 13. არჩევნების დანიშვნა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს უზენაესი საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 105 დღისა.

ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 2 დღისა.

### მუხლი 14. არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაცია

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენისა და საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენლების დანიშვნის უფლების მისაღებად პარტიებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რისთვისაც ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უადრეს მეათე და არა უგვიანეს 30-ე დღისა, კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადება, პარტიის წესდება-პროგრამა და პარტიის მხარდამჭერთა სია (პარტიას მხარს უნდა უჭერდეს სულ ცოტა 10000 ამომრჩეველი). განცხადებაში დასახელებული უნდა იყოს პარტიის პასუხისმგებელი წარმომადგენელი, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

მხარდამჭერთა სიის მიღებიდან არა უადრეს მე-6 და არა უგვიანეს მე-12 დღისა, კომისიამ რეგისტრაციაში უნდა გაატაროს პარტია და მისცეს სათანადო ცნობა მის წარმომადგენელს.

პარტიას უარი ეთქმევა რეგისტრაციაში გატარებაზე, თუ მისი წესდება, პროგრამა ან საქმიანობა ეწინააღმდეგება პოლიტიკური პარტიებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან მის მხარდამჭერთა სია არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, პარტიას უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში.

რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიათა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრირებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

### მუხლი 15. პარტიის მხარდამჭერთა სია

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, რომელსაც მხარს უჭერს სულ ცოტა 10000 ამომრჩეველი, რომელთაც თავისი მხარდაჭერა ხელმოწერით უნდა გამოხატონ.

მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერებით შევსებული ყოველი ფურცლის თავში უნდა ეწეროს პარტიის დასახელება და არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდაჭერის ტექსტი. ყოველი ხელმოწერის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი, პასპორტის სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი. ხელმოწერებისთვის გამოიყენება ფურცლის ორივე მხარე. ხელმოწერები გადანომრილი უნდა იყოს. ფურცელს ხელს უნდა აწერდეს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მითითებული უნდა იყოს მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ შეამოწმონ ხელმოწერების ნამდვილობა. გაყალბებული და ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერები, თუ ამის შესახებ წერილობით განაცხადა ხელმომწერმა ამომრჩეველმა, ბათილად ჩაითვლება. თუ აღნიშნულ მიზეზთა გამო ხელმოწერათა რაოდენობა აუცილებელზე ნაკლები აღმოჩნდა, პარტიას წინადადება ეძლევა 5 დღის ვადაში შეავსოს მხარდამჭერთა სია. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში პარტიის რეგისტრაცია არ მოხდება. ხელმოწერებზე პრეტენზია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიიღება მისთვის მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრებსა და, სარჩელის შეტანის შემთხვევაში, სასამართლო ორგანოებს.

არჩევნებამდე 20 დღით ადრე მხარდამჭერთა სიები ნადგურდება.

### მუხლი 16. საარჩევნო ბლოკები და მათი რეგისტრაცია

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად (ბლოკს შეიძლება ეწოდოს თავისი სახელი), რომელთა რეგისტრირებაც იწყება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პარტიების რეგისტრაციის დაწყებიდან მეათე დღეს და მთავრდება არჩევნებამდე 40 დღით ადრე. კომისიისთვის წარდგენილ სათანადო განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი, მასში დასახელებული უნდა იყოს ბლოკის პასუხისმგებელი წარმომადგენელი, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელსაც კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება იმავდროულად გაერთიანებული იყოს სხვა საარჩევნო ბლოკში ანდა დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

## III. საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

### მუხლი 17. საარჩევნო ოლქები

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებისთვის იქმნება 101 საარჩევნო ოლქი.

საარჩევნო ოლქებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და ამ ერთეულებში ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით და ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა რესპუბლიკურ გაზეთებში აქვეყნებს მათ სიას ოლქების საზღვრების მითითებით.

საქართველოს ყოველ რაიონში, ქალაქსა (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და ქალაქებისა, რომლებსაც აქვთ რაიონული დაყოფა) და ქალაქის რაიონში, იქმნება სულ ცოტა ერთი საარჩევნო ოლქი, ხოლო იქ, სადაც ამომრჩეველთა დიდი რაოდენობაა, დამატებით იქმნება კიდევ თითო საარჩევნო ოლქი. ამომრჩეველთა ზღვრულ რიცხვს, რომლის შემდეგაც იქმნება დამატებითი საარჩევნო ოლქი, ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

### მუხლი 18. საარჩევნო უბნები

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად.

საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ ადგილებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან საარჩევნო ოლქს გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებშიც, რომელთა საარჩევნო ოლქისთვის მიკუთვნების საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო უბნებს ქმნიან საოლქო საარჩევნო კომისიები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარდგინებითა და მათთან შეთანხმებით. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე წესით გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება მინისტრთა საბჭოს წარდგინებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 2 თვისა. ძნელად მისადგომ რაიონებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივ გაზეთებში უბნების შექმნიდან 3 დღის ვადაში აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ხმის მისაცემი შენობების მისამართებს.

## IV. საარჩევნო კომისიები

### მუხლი 19. საარჩევნო კომისიების სისტემა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

ა) საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

### მუხლი 20. საარჩევნო კომისიების წევრობა

საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დანიშნული იყოს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ნებისმიერი დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, არჩევნებში მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და წევრის უფლებამოსილება წყდება:

ა) ამ მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ საფუძველზე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში;

გ) გაწვევის ან უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში;

დ) გარდაცვალებისას.

### მუხლი 21. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ირჩევენ შესაბამისი კომისიის სხდომაზე მისი შექმნისთანავე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის წევრები სხდომაში მონაწილეობას ადასტურებენ დასწრების ფურცელზე ხელმოწერით. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტად ითვლება. კომისიის იმ წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კომისიას წარმოადგენს მისი თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ კომისიას თავმჯდომარე არა ჰყავს ან მას არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და კომისიის წევრები (საოლქო საარჩევნო კომისიიდან არა უმეტეს ორი, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიიდან არა უმეტეს ერთი პირისა) არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება განთავისუფლდნენ საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ამასთან, მათ დაენიშნებათ ხელფასი არა უმცირეს მათი საშუალო ხელფასისა არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანსა და წევრებს მათი უფლებამოსილების დანარჩენი დროის განმავლობაში შეიძლება დაენიშნოთ ხელფასი საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ აგიტაციაში არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

### მუხლი 22. საარჩევნო კომისიათა სამუშაო ჯგუფები

არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება შეიქმნას საარჩევნო კომისიების სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფების წევრებს, მათ შორის კომისიის ხაზინადარს, ნიშნავენ: ცენტრალური საარჩევნო კომისიისას — თვით კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისას — საოლქო საარჩევნო კომისია.

შესაბამისი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფების წევრებს შეიძლება აუნაზღაურდეთ მათ მიერ შესრულებული სამუშაო.

### მუხლი 23. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 12 წევრისაგან.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 4 წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უადრეს მე-4 და არა უგვიანეს მე-5 დღისა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა) საბჭოების პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომიტეტების, პარტიებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა წინადადებების გათვალისწინებით. დასახელებულმა ორგანიზაციებმა თავისი წინადადებები უნდა წარუდგინონ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აქვეყნებს რესპუბლიკურ გაზეთებში, იქვე მითითებული უნდა იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართი და ტელეფონის ნომრები.

კომისიის კიდევ თითო წევრს ნიშნავენ აფხაზეთისა და აჭარის უზენაესი საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა.

პარტიებს, მას შემდეგ, რაც რეგისტრაციას გაივლიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, უფლება აქვთ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თითო წევრი, თუ მათი წა-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

გაგრძელება

რმომადგენელი არაა არჩეული ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. პარტიებმა თავისი გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა შეატყობინონ ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 42-ე დღისა.

თუ ამ კანონის ძალაში შესვლიდან 43-ე დღეს კომისიის შემადგენლობაში 15 პირზე ნაკლები აღმოჩნდა, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი 2 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს მისი შემადგენლობის 15-მდე შესავსებად.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უადრეს 42 დღისა, იგი თავის წევრთაგან ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება საქართველოს უზენაესი საბჭოს მომდევნო არჩევნების დანიშვნის დღეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საქართველოს უზენაესი და ადგილობრივი საბჭოების ოფიციალურ ორგანოებში — გაზეთებსა და უწყებებში.

## მუხლი 24. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობით შექმნამდე მისი სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება სხდომის დღეს კომისიის ფაქტობრივი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას; საჭიროების შემთხვევაში განმარტავს ამ კანონის დებულებებს; თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს ინსტრუქციებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის აუცილებელი და ამ კანონით განუსაზღვრელი საკითხების გადასაჭრელად;

2) ქმნის საარჩევნო ოლქებს და აკუთვნებს მათ სახელებსა და ნომრებს;

3) წყვეტს საარჩევნო ოლქისთვის იმ საარჩევნო უბნების მიწერის საკითხს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იქმნება;

4) აქვეყნებს საარჩევნო კომისიების წევრებად წარდგენისა და დანიშვნის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს, მათ მიერ დეპუტატობის კანდიდატთა სიებისა და ოლქებში დეპუტატთა წარდგენისა და რეგისტრაციის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს;

5) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, მათი დეპუტატობის კანდიდატთა სიებს; აძლევს სათანადო მოწმობებს დეპუტატობის კანდიდატებს;

6) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციას;

7) ადგენს არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს; უნაწილებს ფულად სახსრებს საოლქო საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

8) ადგენს საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმების, სხვა საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს;

9) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში პარტიებისა და პერსონალურად დასახელებული დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობის თანასწორ პირობებს, პლაკატების გამოცემას პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებებით, დეპუტატობის კანდიდატების სიებითა და კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემებით;

10) განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს ამ კანონის შესაბამისად;

11) განსაზღვრავს საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ვალდებულებებს და ისმენს მათ ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

12) ამტკიცებს პარტიული სიებით არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენების ტექსტს, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და ბიულეტენებით საოლქო კომისიების მომარაგებას;

13) ადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, არჩევნებში მონაწილეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა საერთო რიცხვს, საერთო გამყოფს, ყოველი პარტიული სიის მიხედვით არჩეულ დეპუტატთა რიცხვს;

14) აჯამებს რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს, არჩევნების დღიდან 10 დღის ვადაში პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სიას; რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ დეპუტატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

15) გადასცემს საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიას დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

16) ნიშნავს პარტიული სიებისთვის ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;

17) ნიშნავს ხელახალ არჩევნებს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში;

18) პარტიული სიით არჩეული დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიას წარუდგენს ამ კანონის შესაბამისად მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

19) ერთმანდატიან ოლქებში არჩეული დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში შესაბამის ოლქებში ნიშნავს დეპუტატთა არჩევნებს საქართველოს უზენაეს საბჭოში და უზრუნველყოფს მათ ჩატარებას;

20) განიხილავს საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

21) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად.

## მუხლი 25. საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 10 წევრისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 4 წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საარჩევნო ოლქების სიის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 7 და არა უგვიანეს 12 დღისა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და ქალაქებისა, რომლებსაც არა აქვთ რაიონული დაყოფა), ქალაქის რაიონული საბჭოების პრეზიდიუმების ან მათი აღმასრულებელი კომიტეტების, პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, საარჩევნო ოლქში განლაგებული შრომითი კოლექტივებისა და საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებათა გათვალისწინებით. დასახელებულმა ორგანიზაციებმა თავისი წინადადებები უნდა წარუდგინონ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საარჩევნო ოლქების სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-7 დღეს. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და არა უგვიანეს მე-3 დღისა აქვეყნებს რესპუბლიკურ გაზეთებსა და შესაბამის რესპუბლიკურ, საოლქო, რაიონულ (საქალაქო) გაზეთებში კომისიების შემადგენლობას, მათ ადგილსამყოფელსა და ტელეფონის ნომრებს.

საოლქო საარჩევნო კომისიის თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა პარტიებმა, თუ მათი წარმომადგენელი არ არის დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. პარტიებმა თავისი გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა აცნობონ საარჩევნო ოლქების სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 28-ე დღეს.

თუ ოლქების სიის გამოქვეყნებიდან 29-ე დღეს კომისიის შემადგენლობაში 13 პირზე ნაკლები აღმოჩნდა, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადებით 3 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს მისი შემადგენლობის 13-მდე შესავსებად და დაუყოვნებლივ ატყობინებს ცენტრალურსა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ ოლქების სიის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 28 დღისა, იგი თავის წევრთაგან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება საქართველოს უზენაესი საბჭოს მომდევნო არჩევნების დანიშვნის დღეს.

საოლქო საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართს და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში.

## მუხლი 26. საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი

საოლქო საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე;

2) ქმნის საარჩევნო უბნებს და აქვეყნებს მათ სიებს;

3) ქმნის საუბნო საარჩევნო კომისიებს, აქვეყნებს მათ შემადგენლობასა და კომისიების მისამართებს;

4) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციებს;

5) უნაწილებს ფულად სახსრებს საუბნო საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს საარჩევნო ოლქში არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენას და მათ წარდგენას საყოველთაო გაცნობისათვის;

7) რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ პერსონალურად წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს; უზრუნველყოფს პლაკატების გამოცემას მათი ბიოგრაფიული მონაცემებითა და საარჩევნო პროგრამებით;

8) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

9) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატთა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაწილეობის თანაბარ პირობებს;

10) მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით ადგენს საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო პლაკატების გამოფენის ადგილებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სათანადო სტენდების დამზადებას;

11) თვალყურს ადევნებს მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებას;

12) ისმენს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოთა და სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

13) ხელს უწყობს შრომით კოლექტივებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, სასწავლებელთა კოლექტივებს, ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატებთან და, პირიქით, დეპუტატობის კანდიდატებს მათთან შეხვედრების მოწყობაში როგორც ამ კოლექტივებში, ისე ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილას;

14) ამტკიცებს საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქისთვის, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

15) ადგენს და ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა, არჩევნებში მონაწილეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, არჩევნების საბოლოო შედეგებს, მოწმობას აძლევს საარჩევნო ოლქში არჩეულ დეპუტატს;

16) ნიშნავს და აწყობს პერსონალურად წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა არჩევნების მეორე ტურს;

17) ნიშნავს და აწყობს ხელახალ ხმის მიცემას საარჩევნო ოლქში;

18) აწყობს ხელახალ არჩევნებს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში;

19) აწყობს პარტიული სიებისთვის ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;

20) აწყობს არჩევნებს ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად;

21) განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

22) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

## მუხლი 27. საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 2 წევრისაგან არჩევნებამდე არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 45 დღისა. კომისიის წევრთა მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს საოლქო საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და სულ ცოტა 2 წევრს ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისია მის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმების ან მათი აღმასრულებელი კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, ამ ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივების, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებათა გათვალისწინებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა პარტიებმა, საარჩევნო ბლოკებმა.

განცხადებანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად წარდგენისა და დანიშვნის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღისა.

კომისიის შექმნიდან 3 დღის ვადაში იგი თავის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს საოლქო საარჩევნო კომისიას.

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება არჩევნების დამთავრებისთანავე.

საუბნო საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს ადგილობრივ გაზეთებში.

## მუხლი 28. საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს;

2) ამომრჩევლებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, იღებს და იხილავს განცხადებებს სიებში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;

3) ამომრჩევლებს აძლევს ამომრჩევლის ბარათსა და მოთხოვნისას — ხმის მიცემის უფლების მოწმობას;

4) აუწყებს მოსახლეობას საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების დღესა და ხმის მისაცემ ადგილს;

5) უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების, საინფორმაციო სტენდების მომზადებას;

6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

7) ადგენს საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, დეპუტატობის ყოველი კანდიდატისა და კანდიდატთა ყოველი სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობას;

8) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

## მუხლი 29. საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნისა და წევრებად წარდგენის წესი

საარჩევნო კომისიის წევრის წარდგენის (დანიშვნის) უფლების მქონე ყოველ პარტიას, ორგანიზაციას, საწარმოს, დაწესებულებას შეუძლია თითოეულ საარჩევნო კომისიაში წარადგინოს (დანიშნოს) მხოლოდ ერთი წევრი.

საარჩევნო კომისიების წევრებად თავისი წარმომადგენლების წარდგენის (დანიშვნის) უფლება აქვთ საქართველოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების პრეზიდიუმებს ან მათს აღმასრულებელ კომიტეტებს, პარტიის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს ან პარტიის ხელმძღვანელ პირს.

საარჩევნო კომისიების წევრებად თავისი წარმომადგენლების წარდგენის უფლება აქვთ:

1) საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს — ყველა საარჩევნო კომისიაში, რეგიონულ ხელმძღვანელ ორგანოებს — შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში, შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯგუფების კრებებს — საუბნო საარჩევნო კომისიებში. დასახელებული ორგანოები წარმომადგენლებს ასახელებენ სხდომებზე (კრებებზე, კონფერენციებზე). თუ ერთსა და იმავე კომისიაში თავის წარმომადგენელი წარადგინა ერთზე მეტმა ორგანომ, უპირატესობა ეძლევა ზემდგომი ორგანოს მიერ წარდგენილ წარმომადგენელს;

2) საარჩევნო ოლქში განლაგებული შრომითი კოლექტივებისა და საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების კრებებს (კონფერენციებს) — საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში;

3) ამომრჩევლებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენის გზით საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 100 ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა ოცი ამომრჩეველი.

საარჩევნო კომისიის წევრად წარდგენისა და დანიშვნისას ამ კანონით განსაზღვრულ ვადებში სათანადო ორგანოს უნდა წარედგინოს სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმის ან მისი აღმასკომის, პარტიის რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოს ან ხელმძღვანელი პირის განცხადება ან:

ა) კრების (სხდომის, კონფერენციის) ოქმის ამონაწერი. ოქმის ამონაწერში (განცხადებაში) მითითებული უნდა იყოს წარმდგენი ორგანოს დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ორგანოს (კოლექტივის) წევრთა რიცხვი, კრების (სხდომის, კონფერენციის) მონაწილეთა რიცხვი, კენჭისყრის შედეგი, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, კომისიის წევრად წარდგენილი (დანიშნული) პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პარტიულობა, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილის დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ოქმი დამოწმებული უნდა იყოს კრების (სხდომის, კონფერენციის) თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით;

ბ) ამ მუხლის მე-3 ნაწილის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში — განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კომისიის წევრად წარდგენილი პირის იგივე მონაცემები, რაც ზემოთაა ჩამოთვლილი; განცხადების მხარდამჭერ ამომრჩეველთა გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პასპორტის სერია და ნომერი, ბინის მისამართი, ხელმოწერის თარიღი, ხელმოწერა; წარდგენის ინიციატორთა იგივე მონაცემები და ტელეფონის ნომრები.

განცხადების წარმდგენს ეძლევა დათარიღებული ცნობა განცხადების მიღების შესახებ.

## მუხლი 30. კრების, სხდომის, კონფერენციის, ყრილობის მოწვევისა და ჩატარების წესი

**სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი პრეზიდიუმების,** აღმასრულებელი კომიტეტების, **პოლიტიკური პარტიების,** საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების სხდომების (კონფერენციების, ყრილობების) მოწვევისა და ჩატარების წესები განისაზღვრება მათი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

შრომითს კოლექტივებში, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებში კრებებს (კონფერენციებს) იწვევენ მათი საბჭოები, პროფკავშირული კომიტეტები (ბიუროები) ადმინისტრაციასთან ერთად საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კოლექტივის წევრთა ნახევარზე მეტი; კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა. კრების (კონფერენციის) მუშაობაში მონაწილეობას მისი წევრები ადასტურებენ რეგისტრაციის ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს

(გაგრძელება მე-5 გვ.)

გაგრძელება

კრების (კონფერენციის) თავმჯდომარისა და მდივნის მიერ. საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დასახელდეს ნებისმიერი ამომრჩეველი, ოღონდ აუცილებელია მისი თანხმობა. პიროვნება წარდგენილად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების რეგისტრირებულ მონაწილეთა (კონფერენციის საერთო შემადგენლობის) ნახევარზე მეტი. კონფერენციის დელეგატების არჩევისას წარმომადგენლობის ნორმას ადგენს კონფერენციის მომწვევი ორგანო.

კრების, სხდომის, კონფერენციის, ყრილობის ოქმი უნდა ინახებოდეს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის მიერ დეპუტატების უფლებამოსილების დამტკიცებამდე.

**მუხლი 31. საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესი**

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი წევრი თავისუფლდება კომისიაში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან კომისიის მიერ:

ა) ამ კანონის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ კანონიერ საფუძველზე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში;

გ) გაწვევის ან უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში.

კომისიის წევრის გაწვევის უფლება აქვს პას, ვინც წარადგინა ან დანიშნა იგი კომისიის წევრად.

კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის უფლება აქვს ზემდგომ საარჩევნო კომისიას (ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრისთვის კი — თვით ამ კომისიას) მის მიერ საარჩევნო კანონის დარღვევისას ან თავისი მოვალეობის სისტემატურად უგულვებელყოფისას. უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხი წყდება კომისიის სხდომაზე ფარული კენჭისყრით მისი სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის წევრის განთავისუფლებისას თავისი მოვალეობის შესრულებისაგან ან მისი გარდაცვალებისას, თუ იგი იყო არჩევნებში მონაწილე პარტიის წარმომადგენელი, ამ პარტიას ორი კვირის განმავლობაში შეუძლია დანიშნოს კომისიის ახალი წევრი. სხვა შემთხვევებში კომისიის ახალი წევრი იმავე ვადაში შეუძლია დანიშნოს კომისიის შემქმნელმა ორგანომ ამ კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 32. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში**

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისთვის. ისინი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, მიაწოდონ მათთვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართონ სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულება-ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ დასმული საკითხები და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ სამი დღის ვადაში.

საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე სასამართლოში.

## V. ამომრჩეველთა სია, ამომრჩევლის ბარათი და ხმის მიცემის მოწმობა

**მუხლი 33. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი**

ამომრჩეველთა სია დგება სამ ცალად თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის მუშაობაში საარჩევნო კომისიას შეუძლია მიიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

სიაში შეაქვთ ამომრჩეველთა გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი.

ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებში, ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილ მონაცემთა საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები საარჩევნო სიაში შეაქვთ ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

საარჩევნო სიის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 34. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი**

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი, სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველი შეტანილ უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

**მუხლი 35. მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა, ამომრჩევლის ბარათების დარიგება და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება**

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე 15 დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან ათი დღის ვადაში ამომრჩევლებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათებს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის გვარი, სახელი, მამის სახელი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ ამომრჩეველთა სიას და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული სხვა უზუსტობანი. სიაში უზუსტობის შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს — დაუყოვნებლივ განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი სამი დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ცვლილებები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 36. ხმის მიცემის უფლების მოწმობა. ამომრჩეველთა დამატებითი სია**

თუ ამომრჩეველმა რესპუბლიკის, ოღონდ არა ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან ხმის მიცემის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარმოდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან, ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა. მოწმობის მიღებას ამომრჩეველი თავისი ხელმოწერით ადასტურებს.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

## VI. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა. დეპუტატობის კანდიდატთა სიები, მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენები

**მუხლი 37. დეპუტატობის კანდიდატთა სიების წარდგენა**

დეპუტატობის კანდიდატთა სიების — პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე საქართველოს პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის გავლის შემდეგ არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს თითო პარტიული სია. სიაში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს ასზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ორას ერთს.

პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნან მხოლოდ ამ პარტიის წევრები ან უპარტიოები. ლო საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიულ სიაში — მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წევრები ან უპარტიოები. დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეყვანა, რომლებიც იმავდროულად არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა.

დაუშვებელია ერთი და იმავე პიროვნების შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში.

პარტიული სიების შედგენის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები. სია შედგენილი უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების შედეგად პარტიის (ან საარჩევნო ბლოკის) მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით.

პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს ყოველი კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა.

პარტიის კანდიდატთა სია დამოწმებული უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი პირის, ხოლო საარჩევნო ბლოკის სია — ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერით. სიას უნდა ერთვოდეს ყოველი კანდიდატის თანხმობა მოცემული სიით კენჭისყრის შესახებ.

**მუხლი 38. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა**

ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს, მას შემდეგ, რაც მათი კანდიდატთა სიები რეგისტრირებული იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, არჩევნებამდე არა უგვიანეს 27 დღისა უფლება აქვს ყოველ საარჩევნო ოლქში წარადგინოს თითო დეპუტატობის კანდიდატი. კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნას მხოლოდ ის პირი, რომელიც შეყვანილია შესაბამისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რეგისტრირებულ პარტიულ სიაში. ერთი და იმავე პიროვნების კანდიდატად წარდგენა შეიძლება მხოლოდ ერთ ოლქში. დეპუტატობის კანდიდატთა შერჩევის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები. დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და იმ საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგია წარდგენილი.

ამომრჩეველთა ჯგუფს უფლება აქვს საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წარადგინოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნებს, თუ მას მხარს უჭერს ამ ოლქის სულ ცოტა 500 ამომრჩეველი, კანდიდატთა წარდგენა იწყება ამ კანონის გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს და მთავრდება არჩევნებამდე 35 დღით ადრე. ამ მიზნით ამომრჩეველთა ჯგუფმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 40 დღისა, რის შემდეგაც მას უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის ვინაობა, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

**მუხლი 39. დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატთა მხარდამჭერთა სიები**

საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატს მხარს უნდა უჭერდეს ამ საარჩევნო ოლქის სულ ცოტა 500 ამომრჩეველი, რომელთაც თავისი მხარდაჭერა ხელმოწერით უნდა გამოხატონ. დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერთა სია საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა.

მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერებით შევსებული ყოველი ფურცლის თავში უნდა ეწეროს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის ვინაობა და მისი მხარდაჭერის ტექსტი. ყოველი ხელმოწერის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი, პასპორტის სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი. ხელმოწერებისთვის შეიძლება ფურცლის ორივე მხარის გამოყენება. ხელმოწერები გადანომრილი უნდა იყოს. ფურცელს ხელს უნდა აწერდეს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მითითებული უნდა იყოს მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

ერთ ამომრჩეველს უფლება აქვს ხელი მოაწეროს თავის საარჩევნო ოლქში მხოლოდ ერთი კანდიდატის მხარდასაჭერად.

საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ შეამოწმონ ხელმოწერების ნამდვილობა. თუ ერთი და იგივე ამომრჩეველი მხარს დაუჭერს თავის ოლქში ერთზე მეტ კანდიდატს, უფრო გვიან შესრულებული ხელმოწერები ბათილად ჩაითვლება. ბათილად ჩაითვლება აგრეთვე გაყალბებული და ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერები, თუ ამის შესახებ წერილობით განაცხადა ხელმომწერმა ამომრჩეველმა. თუ აღნიშნულ მიზეზთა გამო ხელმოწერათა რაოდენობა აუცილებელზე ნაკლები აღმოჩნდა, ამომრჩეველთა ჯგუფს წინადადება ეძლევა ხუთი დღის ვადაში შეავსოს მხარდამჭერთა სია. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში დამოუკიდებელი კანდიდატის რეგისტრაცია არ მოხდება. ხელმოწერებზე პრეტენზია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიიღება მისთვის მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრებსა და, საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სასამართლო ორგანოებს.

არჩევნებამდე 20 დღით ადრე მხარდამჭერთა სიები ნადგურდება.

**მუხლი 40. პარტიული სიებისა და ერთმანდატიან ოლქებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია**

პარტიულ სიას რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია მისთვის სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

ერთმანდატიან ოლქებში წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები: დამოუკიდებელ კანდიდატებს, მათი წარდგენიდან არა უადრეს მე-5 და არა უგვიანეს მე-10 დღისა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებს — მათი წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა.

პარტიული სიისა და დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ 3 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიები პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენელსა და დეპუტატობის კანდიდატებს გადასცემენ დეპუტატობის კანდიდატთა მოწმობებს. იმავე ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს საჭირო მონაცემებს მათ ოლქებში პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატების შესახებ.

პარტიული სიის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი საბუთები: პარტიის ხელმძღვანელი პირების (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ხელმძღვანელ პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადება, კანდიდატთა სია, ყოველი კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემული სიით.

ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პერსონალურად წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი საბუთები: პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ხელმძღვანელი პირების) წარდგინება და დეპუტატობის კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატისთვის კი — მისი თანხმობა კენჭისყრაზე, ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადება და მის მხარდამჭერთა სია.

ამ კანონის მე-9 მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა დეპუტატობის კანდიდატებად მათი დასახელებისას თავიანთ განცხადებებში უნდა აღნიშნონ, რომ გაათავისუფლებენ დაკავებულ თანამდებობას უზენაესი საბჭოს წევრებად მათი არჩევის შემთხვევაში. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დეპუტატობის კანდიდატებმა მათი წარდგენისას თავიანთ განცხადებებში უნდა აღნიშნონ, რომ უარს იტყვიან სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრობაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში.

ზემოთ ჩამოთვლილი საბუთების წარმდგენ პირს საარჩევნო კომისიები აძლევენ ცნობას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საბუთების მიღების თარიღი და დრო.

თუ წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, კომისია საბუთების მიღებიდან 5 დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ საბუთების წარმომდგენთ ნაკლოვანებათა გასასწორებლად. გასწორებული საბუთები კომისიას შეიძლება წარედგინოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა.

დაუშვებელია ერთმა და იმავე პიროვნებამ კენჭი იყაროს სხვადასხვა პარტიული სიით ან პარტიული სიით და იმავდროულად, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ანდა ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში. თუ პიროვნებამ თანხმობა მისცა ერთზე მეტ პარტიულ სიაში თავის შეყვანაზე, ან პარტიულ სიაში შეყვანასა და კენჭისყრაზე, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ანდა ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე, მისი კანდიდატურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებიდან მოიხსნება.

პარტიული სიები და დეპუტატობის კანდიდატების გვარები ინომრება შესაბამის საარჩევნო კომისიაში მათი წარდგენის რიგის მიხედვით და ქვეყნდება გაზეთებში რეგისტრაციის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში. ამავე ვადაში ქვეყნდება იმ პარტიათა სია, რომელთაც უარი ეთქვათ პარტიული სიების რეგისტრაციაზე, აგრეთვე უარის თქმის მიზეზები.

**მუხლი 41. საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა**

პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. მისი კანდიდატურა სიიდან ამოიღება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელ პირთა) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე; ამ შემთხვევაში მისი კანდიდატურა მოიხსნება ერთმანდატიან საარჩევნო ოლქშიც. დეპუტატობის კანდიდატის კანდიდატურა შეიძლება მოიხსნას ერთმანდატიან საარჩევნო ოლქშიც ასეთივე განცხადების საფუძველზე, მაგრამ დატოვებულ იქნას პარტიულ სიაში.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ (საოლქო) საარჩევნო კომისიას. თუ იგი თავის კანდიდატურას ხსნის კანდიდატთა სიაში, უქმდება პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ მისი წარდგენა საარჩევნო ოლქშიც. თუ კანდიდატი თავის კანდიდატურას ხსნის საარჩევნო ოლქში, იგი შეიძლება დარჩეს პარტიის (საარჩევნო ბლოკის) კანდიდატთა სიაში.

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატურის მოხსნის შემდეგ პარტიულ სიაში ას კანდიდატზე ნაკლები დარჩა, პარტიული სია არჩევნებიდან მოიხსნება.

ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კო-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება

მისია აქვეყნებს განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე 4 დღეზე ნაკლებია დარჩენილი, დაუყოვნებლივ.

**მუხლი 42. საარჩევნო ბიულეტენები**

მზადდება ორი სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენები. ერთ მათგანში შეაქვთ პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა დასახელება მათ მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის რიგის მიხედვით. პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ კანდიდატთა სიის მოხსნის შემთხვევაში კანდიდატთა სხვა სიების რიგითი ნომრები, რომლებიც მათ მიიღეს სიების რეგისტრაციის დროს, უცვლელი რჩება. საარჩევნო ბლოკის დასახელებასთან ერთად ჩამოთვლილი უნდა იყოს ამ ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა დასახელებები. მეორეში შეაქვთ დეპუტატობის კანდიდატთა გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატი (თუ დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადების საფუძველზეა წარდგენილი, უნდა დაიწეროს „დამოუკიდებელი“) იმ თანამიმდევრობით, რომლითაც მოხდა მათი წარდგენა შესაბამისი საარჩევნო კომისიებისთვის.

საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავენ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები ქართულ ენაზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, აფხაზურ ენაზე (აფხაზეთის ტერიტორიაზე).

საარჩევნო ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ შესაბამისად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის ბიულეტენების გადაცემას არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ყოველ საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობაზე დაახლოებით 10%-ით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი ხელმოწერით ადასტურებს.

## VII. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა, დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

**მუხლი 43. დეპუტატობის კანდიდატის უფლება გამოვიდეს კრებებზე, ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მიიღოს ინფორმაცია**

დეპუტატობის კანდიდატები თანასწორი უფლებით მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის მომენტიდან.

დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ გამოვიდნენ კრებებზე, თათბირებზე, სხდომებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები მოვალენი არიან ხელს უწყობდნენ დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრათა ორგანიზაციაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

**მუხლი 44. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები**

პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს საჯაროდ გამოვიდეს თავისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დამოუკიდებელ კანდიდატს კი — თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დამოუკიდებელი კანდიდატის პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, არ უნდა აღვივებდეს რელიგიურ შუღლს.

ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში პარტიული სიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაციაში გატარებიდან 10 დღის განმავლობაში.

**მუხლი 45. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების ნდობით აღჭურვილი პირები**

ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს, რომლებმაც წარადგინეს პარტიული სიები, ყოველ საარჩევნო ოლქში, ხოლო დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატს თავის საარჩევნო ოლქში შეუძლია იყოლიოს ათ-ათი ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებიც წარმართავენ პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიას შესაბამის საარჩევნო ოლქში, ეწევიან აგიტაციას მის სასარგებლოდ, წარმოადგენენ პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დეპუტატობის კანდიდატის ინტერესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში, აგრეთვე საარჩევნო კომისიებში.

პარტია (საარჩევნო ბლოკი), დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი ირჩევენ ნდობით აღჭურვილ პირებს და კანდიდატისა და პარტიული სიის რეგისტრირების შემდეგ აცნობებენ მათ შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიებს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ნდობით აღჭურვილი პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, სამსახურისა და ბინის მისამართები და ტელეფონის ნომრები. საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების წარდგენიდან სამი დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს.

პარტიას (საარჩევნო ბლოკს), დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება და შეცვალოს იგი, აცნობებს რა ამის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას. ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას უფლებამოსილება.

ნდობით აღჭურვილი პირები დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატის, პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელ პირითა) თხოვნით გათავისუფლდებიან წინასაარჩევნო კამპანიის ვადით საწარმოო და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ამასთან, ყოველ საარჩევნო ოლქში თითო ნდობით აღჭურვილ პირს შეუნარჩუნდება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე. ხელფასი მას მიეცემა სამუშაო ადგილზე, რაც ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის სათანადო ბრძანებით. წინასაარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ სათანადო ანგარიში გასანაღდებლად წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

ნდობით აღჭურვილი პირი არ შეიძლება იყოს საარჩევნო კომისიის წევრი.

**მუხლი 46. საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის დეპუტატობის კანდიდატთა გათავისუფლება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან**

დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრირების შემდეგ თავისუფლდებიან საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან წინასაარჩევნო კამპანიის ვადით ან ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, კრებებზე, მიტინგებზე, რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლების დროისათვის თავისი სურვილისამებრ. ამასთან, მათ ენახებათ საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

დეპუტატობის კანდიდატი თავისუფლდება საკუთარი განცხადების საფუძველზე და ხელფასი მიეცემა სამუშაო ადგილზე, რაც ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის სათანადო ბრძანებით. წინასაარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ სათანადო ანგარიში გასანაღდებლად წარედგინება შესაბამისად ცენტრალურსა და საოლქო საარჩევნო კომისიას.

რეგისტრირების შემდეგ დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება გაიწვიონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სამხედრო შეკრებებზე ან შრომით სამსახურში. თუ იგი შრომით სამსახურშია, სამსახური შეწყდება არჩევნების დღის მომდევნო დღემდე. არჩეული დეპუტატი თავისუფლდება შრომითი სამსახურისაგან თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

**მუხლი 47. დეპუტატობის კანდიდატთა უფასო მგზავრობის უფლება**

დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება; პარტიის (საარჩევნო ბლოკის) კანდიდატს — საქართველოს ფარგლებში, დამოუკიდებელ კანდიდატს — შესაბამისი საარჩევნო ოლქის ფარგლებში. საარჩევნო ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დამოუკიდებელი კანდიდატი სარგებლობს ასევე უფლებით საარჩევნო ოლქში სამგზავროდ და საცხოვრებელ ადგილას დასაბრუნებლად.

**მუხლი 48. დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა**

დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლოს წესით, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა.

**მუხლი 49. წინასაარჩევნო აგიტაცია**

საქართველოს მოქალაქეებს, პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, შრომით კოლექტივებს, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, ნდობით აღჭურვილ პირებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები. დეპუტატობის კანდიდატების პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, გასწიონ აგიტაცია პარტიის, საარჩევნო ბლოკის, დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი, რისთვისაც მათ საარჩევნო კომისიების მიერ გამოეყოფათ კრებებისა და მიტინგებისათვის შენობები და ადგილები.

არჩევნებში მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე ან ამომრჩეველთათვის სხვა მოსახერხებელი ფორმით. საარჩევნო კომისია შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმთან ან აღმასკომთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან ერთად მოვალეა ხელი შეუწყოს ასეთი შეხვედრების გამართვას, დროულად გამოაცხადოს მათი მოწყობის დრო და ადგილი.

შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის დღიდან პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და ა. შ. (ტექსტში შემდგომ — „პლაკატები“). პლაკატი წარმოადგენს ბეჭდვით ნაწარმს, რომლის დამზადებისთვისაც არ არის საჭირო საგანგებო ნებართვა. სხვა მხრივ, პლაკატებზე ვრცელდება ის ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებულია წინამდებარე კანონით.

ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უზრუნველყოფენ დეპუტატობის კანდიდატებისათვის, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის საარჩევნო პროგრამებისა და დეპუტატობის კანდიდატების შესახებ მონაცემების შემცველი წინასაარჩევნო პლაკატების დაბეჭდვას არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა შემდეგი ნორმით: ერთმანდატიან ოლქში წარდგენილი კანდიდატისთვის — თითო პლაკატი ყოველ 100 ამომრჩეველზე, ოღონდ არანაკლებ 500 ცალისა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის — ერთი სახის 50000 პლაკატი, რისთვისაც შესაბამის კომისიას მის მიერ დადგენილ ვადებში უნდა წარუდგინოს პლაკატის ესკიზი და ტექსტი.

არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის დამთავრების დროისთვის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით, თითოეული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს ყველაზე ხალხმრავალი, ადვილადმისადგომი ადგილები საარჩევნო პლაკატების განლაგებისათვის.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ შეიძლება აიკრძალოს საარჩევნო პლაკატების გაკვრა ცალკეული საზოგადოებრივი შენობების გარკვეულ ნაწილებზე არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების თუ გარემოს დაცვის, მოძრაობის უსაფრთხოების მოსაზრებებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ვალდებული არიან აიღონ ასეთი პლაკატები.

პლაკატები ისე უნდა მოთავსდეს, რომ მათი ჩამოხსნისას არ დაზიანდეს შენობები.

აკრძალულია და შესაბამისად ისჯება საარჩევნო პლაკატების მოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა, დაზიანება ან სხვა რაიმე გზით წაკითხვისათვის უვარგისობაში მოყვანა, თუ ეს პლაკატები არაა განლაგებული აკრძალულ ადგილებში.

პლაკატები არ უნდა შეიცავდნენ ომის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, არ უნდა აღვივებდნენ რელიგიურ შუღლს, არ უნდა შეიცავდნენ პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახველ მონაცემებს.

არჩევნების დღეს ყოველგვარი აგიტაცია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ ადრე გამოკრული სააგიტაციო მასალისა, აკრძალულია.

**მუხლი 50. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში**

საარჩევნო კომისიაში რეგისტრირების დღიდან პარტიები, საარჩევნო ბლოკები, ერთსა და იმავე ოლქში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით.

არჩევნებში მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, უფლება აქვს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში, ხოლო დამოუკიდებელ კანდიდატს — ადგილობრივ პრესაში, გამოაქვეყნოს თავისი წინასაარჩევნო პროგრამა, პლატფორმა, რისთვისაც შესაბამის გაზეთს უნდა მიაწოდოს ამ დოკუმენტების ტექსტები არჩევნებამდე არა უგვიანეს 10 დღისა. ამასთან, ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცული უნდა იყოს მათი წარმოდგენის რიგითობა.

რეგისტრაციის დღიდან წინასაარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე, კვირაში ერთხელ, არჩევნებში მონაწილე ყოველ პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს გამოაქვეყნოს ნებისმიერი სააგიტაციო მასალა და სხვა ინფორმაცია შემდეგი მოცულობით: გაზეთის გვერდის ერთ მეოთხედამდე — რესპუბლიკურ გაზეთებში, გაზეთის გვერდის ნახევრამდე — ადგილობრივ გაზეთებში. ამისათვის შესაბამის გაზეთს გამოსაქვეყნებელი მასალა უნდა წარუდგინოს წინა კვირის შაბათამდე. ამასთან, გამოქვეყნებისას დაცული უნდა იყოს ამ მასალების წარმოდგენის რიგითობა.

ერთჯერადად გამოქვეყნებული მასალის მოცულობა პარტიის (საარჩევნო ბლოკის) სურვილით შეიძლება გაიზარდოს მისი ჯამური ლიმიტის ხარჯზე.

არჩევნებამდე ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად საარჩევნო კამპანიას დაეთმობა საქართველოს ტელევიზიის I პროგრამით სულ ცოტა თითო საათი, ხოლო საქართველოს რადიოს I პროგრამით ორ-ორი საათი (გარდა ორშაბათისა). აქედან დროის ნახევარი დაეთმობა პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, ხოლო მეორე ნახევარი — საარჩევნო ოლქებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს.

პარტიის (საარჩევნო ბლოკის) სურვილით მისთვის გამოყოფილი დრო შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთჯერადად. ამისათვის პარტიამ (საარჩევნო ბლოკმა) ერთი კვირით ადრე უნდა მიმართოს შესაბამის რედაქციას.

საარჩევნო კამპანიის ბოლო დღეს საქართველოს ტელევიზიისა და საქართველოს რადიოს პირველი პროგრამებით, არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და საარჩევნო ბლოკისათვის თანაბარი პირობების დაცვით, კომენტარის გარეშე გადაიცემა შემაჯამებელი წინასაარჩევნო გადაცემები, რომელთა მომზადებაშიც მონაწილეობას მიიღებენ ეს პარტიები და საარჩევნო ბლოკები და რომელთა ჯამური დრო შეადგენს სულ ცოტა სამ საათს ტელევიზიისათვის და ოთხ საათს რადიოსათვის.

აფხაზეთისა და აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე ადგილობრივი რადიოქსელები, სისტემატურად უთმობენ დროს გადაცემებს, ძირითადად, მათი მოქმედების ფარგლებში განლაგებულ საარჩევნო ოლქებში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობით.

არჩევნებამდე ბოლო 10 დღის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის ყოველგვარი გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება აკრძალულია.

## VIII. ხმის მიცემის წესი და არჩევნების შედეგების დადგენა

**მუხლი 51. ხმის მიცემის დრო და ადგილი**

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ხმის მიცემის დროს დაუშვებელია ხმის მისაცემი შენობის ჩაკეტვა და ხმის მიცემის შეწყვეტა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ რაიონებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

**მუხლი 52. ხმის მიცემის მოწყობა**

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არაა მხოლოდ ერთი პარტიის სარგებლობაში. ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს. ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში) უნდა იყოს კალმისტრები. ხმის მისაცემ შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იყოს პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატთა და შესაბამის საარჩევნო ოლქში პერსონალურად წარდგენილ კანდიდატთა სიები.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისა, ამომრჩეველთა ნების გამოვლენების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას. ხმის მიცემის დღეს ხმის მისაცემ შენობასა და მის მიდამოებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა. მილიციის თანამშრომელი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით. ამომრჩეველი ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისთვის აუცილებელი დროის განმავლობაში.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და ბლომბავს ან ლუქავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს კომისიის ყველა წევრი და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი; მასზე უნდა აღინიშნოს ყუთში ფურცლის ჩაშვების დრო.

თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა მაგივრად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს იძლევა საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთისა და ამომრჩევლის ბარათის წარდგენისას. საარჩევნო ბიულეტენების მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეჰყავთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისია მათი თხოვნით ავალებს კომისიის ცალკეულ წევრებს მოაწყონ ხმის მიცემა ამ ამომრჩეველთა ყოფნის

(დასასრული მე-7 გვ.)

## დასასრული

ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

### მუხლი 53. ხმის მიცემის ჩატარება.

საარჩევნო ბიულეტენებს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში სხვა პირი მიიწვიოს თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა და დეპუტატობის კანდიდატის (პარტიის, საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენლისა.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიმცემი ერთ ბიულეტენში შემოხაზავს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, ხოლო მეორეში — იმ დეპუტატობის კანდიდატის ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას.

შევსებულ ბიულეტენს ხმის მიმცემი უშვებს საარჩევნო ყუთში.

ხმის მისაცემი შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

### მუხლი 54. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

ხმების დათვლისას დაცული უნდა იყოს შემდეგი თანამიმდევრობა:

1) ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს ზედ უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების სახეობა და რაოდენობა, მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები;

3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას;

4) კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთებში არსებული სხვადასხვა ფერის ბიულეტენების ანუ ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობასა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას (ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებსა და ბიულეტენებს, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია დადგინდეს, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება). ბათილად ცნობილი სხვადასხვა ფერის ბიულეტენები ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმდაგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა, მათი სახეობა;

5) კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისა და ყოველი პარტიული სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაიწყოს, როგორც მე-4 პუნქტშია მითითებული;

6) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს და შეაქვს ოქმში. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი პიროვნულად წარდგენილი კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

7) ოქმის პირველ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო [კო]მისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბა[რდე]ს პერსონალურად წარდგენილი კა[ნ]დიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო [კ]ომისია.

### მუხლი 55. საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობას, თითოეული კანდიდატისა და თითოეული პარტიული სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობასა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს ბიულეტენში შეყვანილი პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები და მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი გადაეცემა საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიას და პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს.

ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ ოლქების და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი და ამომრჩეველთა რაოდენობა მათში, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობა, თითოეული პარტიული სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობა, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებულ მანდატთა რაოდენობა, არჩეულ დეპუტატთა სია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიხედვით და კანდიდატთა სიებში მათი რიგის დაცვით, აგრეთვე ერთმანდატიან ოლქებში ჩატარებული არჩევნების შედეგები.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას კანდიდატთა სიების მიხედვით იმ უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი ამ კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად.

შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ. ამ მუხლის მე-9 ნაწილში ჩამოთვლილ მონაცემებთან ერთად ცნობაში მითითებული უნდა იყოს არჩეული დეპუტატების პარტიულობა, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი.

ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პირველ ტურში არჩეულად ითვლება ის დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს, თუ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა.

არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევები. საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა.

თუ არჩევნები ჩატარებულად არის ცნობილი, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას (თუ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი არ იყო, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ინიშნება ხელახალი არჩევნები). საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს ხელახალი ხმის მიცემა მაშინაც, როცა ოლქში ან უბანში არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი.

თუ არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ჩატარებულად არ ჩაითვალა, საოლქო საარჩევნო კომისია ორი კვირის ვადაში ატარებს არჩევნების მეორე ტურს.

საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი პიროვნულად წარდგენილი კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები და მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი და გამოუყენებელი ბიულეტენები არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით. მეორე ცალი ინახება თვით საოლქო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს პერსონალურად წარდგენილი კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ნდობით აღჭურვილ პირებს.

### მუხლი 56. არჩევნების შედეგების დადგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს: ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საქართველოში, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობას, თითოეული პარტიული სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობასა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს ხმის მიცემის მონაწილეთა 3 პროცენტს. კანდიდატთა იმ სიებს, რომლებმაც 3 პროცენტზე ნაკლები ხმები მიიღეს, დეპუტატის მანდატი არ მიეკუთვნებათ.

ამის შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს საერთო გამყოფს, რისთვისაც დეპუტატობის კანდიდატთა ყოველი სიისთვის მიცემული ხმების რაოდენობა თანმიმდევრულად უნდა გაიყოს 1-ზე, 2-ზე, 3-ზე და ა. შ. გაყოფის შედეგად მიღებული რიცხვები კლების მიხედვით ისე უნდა დალაგდეს, რომ მათი საერთო რაოდენობა 100-ის ტოლი იყოს. ამ რიცხვთაგან უმცირესი წარმოადგენს საერთო გამყოფს.

ყოველი პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული დეპუტატთა მანდატების რაოდენობა განისაზღვრება საერთო გამყოფის მიხედვით. ამ რაოდენობის დასადგენად ყოველი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გაიყოს საერთო გამყოფზე. გაყოფის შედეგად მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი (ნაშთი მხედველობაში არ მიიღება) წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას. არჩეულად ითვლებიან დეპუტატობის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც შესაბამის პარტიულ სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში თავის სხდომაზე აჯამებს არჩევნების შედეგებს პარტიული სიებისა და ერთმანდატიანი ოლქების მიხედვით და შეაქვს ოქმში.

თუ დეპუტატობის კანდიდატი არჩეულია როგორც საარჩევნო ოლქიდან, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება საარჩევნო ოლქიდან, ხოლო სიაში ხდება მისი მომდევნო კანდიდატების წანაცვლება სიის დასაწყისისკენ. ამ სიის მიხედვით არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა უცვლელი რჩება. თუ ამ დროს სიაში დეპუტატობის კანდიდატთა რაოდენობა ნაკლები აღმოჩნდა სიის მიერ მიღებულ მანდატთა რაოდენობაზე, ზედმეტი მანდატები უქმდება.

### მუხლი 57. ხელახალი ხმის მიცემა

ხელახალი ხმის მიცემა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ეწყობა, თუ:

1) ოლქში წარდგენილი იყო ორზე მეტი კანდიდატი, არჩევნები ჩატარდა, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი;

2) ოლქში არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი (თუ არჩევნები ბათილად არის ცნობილი ერთ ან რამდენიმე უბანში, ხელახალი ხმის მიცემა შეიძლება მოეწყოს მხოლოდ ამ უბნებში);

პირველ შემთხვევაში ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა არჩევნებიდან ორი კვირის შემდეგ და კენჭს იყრის ის ორი კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხელახალი ხმის მიცემის დროს მეტ ხმას მიიღებს.

არჩევნების პირველ ტურში ან ხელახალი ხმის მიცემისას ორი ან რამდენიმე კანდიდატის მიერ ხმათა ტოლი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა ასაკით უფროს კანდიდატს.

მეორე შემთხვევაში ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ და მისი შედეგები განისაზღვრება არჩევნების პირველი ტურისთვის დადგენილი წესით. თუ არჩევნები ჩატარდა, მაგრამ დეპუტატი ვერ აირჩა, ერთი კვირის შემდეგ ეწყობა კიდევ ერთი ხელახალი ხმის მიცემა (თუ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი არ იყო, ინიშნება ხელახალი არჩევნები), ხოლო თუ არჩევნები არ ჩატარდა, ერთი კვირის შემდეგ ეწყობა არჩევნების მეორე ტური.

პარტიული სიების მიხედვით ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ იმ უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბნებში საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობის ათ პროცენტზე მეტია.

### მუხლი 58. არჩევნების მეორე ტური

არჩევნების მეორე ტური ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ინიშნება არჩევნებიდან ორი კვირის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ ამ ოლქში არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა. მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატს. არჩევნები მეორე ტურში ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მიიღო მონაწილეობა საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მეოთხედზე მეტმა. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს სხვაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობის მეოთხედისა. თუ რამდენიმე კანდიდატმა ხმათა ტოლი რაოდენობა დააგროვა, ოღონდ თითოეულმა არანაკლებ ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობის მეოთხედისა, არჩეულად ითვლება ასაკით უფროსი კანდიდატი.

იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი ვერ აირჩა ან არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა, ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ არჩევნებს, რომელიც უნდა მოეწყოს მეორე ტურის ჩატარებიდან 2 თვის ვადაში.

## IX. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

### მუხლი 59. საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაცია და არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეულ დეპუტატებს და რესპუბლიკურ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში და ყოველ საარჩევნო ოლქში, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, თითოეული კანდიდატისათვის, პარტიისა და საარჩევნო ბლოკის კანდიდატთა სიებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა, იმ ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი და ამომრჩეველთა რაოდენობა მათში, არჩეულ დეპუტატთა სია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიხედვითა და იმ რიგის დაცვით, რომელიც არჩეულ დეპუტატებს ეკავათ კანდიდატთა სიებში, ერთმანდატიან ოლქებში არჩეულ დეპუტატთა სია. ამასთან, უნდა აღინიშნოს დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, პარტიულობა, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი.

### მუხლი 60. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სიის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ყოველ არჩეულ დეპუტატს აძლევენ მოწმობას არჩევის შესახებ.

საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა დამტკიცების შემდეგ მათ დეპუტატად არჩევის შესახებ მოწმობას უცვლიან საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის მოწმობით, უზენაესი საბჭოს წევრს ეძლევა აგრეთვე სამკერდე ნიშანი „საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი“.

## X. ხელახალი არჩევნები და გამოკლებული დეპუტატების ადგილმონაცვლეთა განსაზღვრის წესი

### მუხლი 61. ხელახალი არჩევნები

იმ საარჩევნო ოლქში, რომელშიც კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი არ იყო, პირველ ტურში არჩევნები ჩატარებულად იქნა ცნობილი, მაგრამ დეპუტატი ვერ აირჩა, პირველი ტურის ჩატარებიდან 2 თვის განმავლობაში ეწყობა ხელახალი არჩევნები; ხოლო თუ მე-2 ტურში დეპუტატი ვერ აირჩა ან არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვალა, მეორე ტურის ჩატარებიდან ორი თვის განმავლობაში ეწყობა ხელახალი არჩევნები.

დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნების პირველ ტურში, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს ამ კანონით დადგენილი წესით. სხვა საარჩევნო ღონისძიებანი ეწყობა ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობა ხელახალი არჩევნების შესახებ ქვეყნდება პრესაში.

### მუხლი 62. გამოკლებული დეპუტატების ადგილმონაცვლეთა განსაზღვრის წესი

იმ შემთხვევაში, თუ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს უზენაეს საბჭოში ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, აგრეთვე უზენაესი საბჭოს წევრის გადადგომის ან სხვა მიზეზების გამო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამის საარჩევნო ოლქებში დეპუტატის ან უზენაესი საბჭოს წევრის გამოკლების მომენტიდან სამი თვის ვადაში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არა უგვიანეს ორი თვისა არჩევნების ჩატარებამდე და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ გამოკლებული დეპუტატი ან უზენაესი საბჭოს წევრი არჩეული იყო პარტიული სიით, საქართველოს უზენაეს საბჭოში მის ადგილს იკავებს შესაბამისი პარტიული სიით არჩეული დეპუტატების რიგით მომდევნო დეპუტატობის კანდიდატი, თუ ამაზე არის როგორც მისი, ასევე შესაბამისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს იკავებს მისი მომდევნო კანდიდატი, რომელიც იმავე პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, და ა. შ. მისი უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას ცენტრალური საარჩევნო კომისია 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიას. თუ პარტიულ სიაში მეტი დეპუტატობის კანდიდატი აღარ არის, დეპუტატის ეს ადგილი უქმდება.

თუ საქართველოს უზენაეს საბჭოს წევრი გამოაკლდა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ერთ წელზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა; ასევე არ ხდება მისი ადგილმონაცვლის განსაზღვრა პარტიული სიის მიხედვით.

---

რედაქციაში კანონპროექტი შემოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის ჩატარების თარიღის გამოცხადებამდე.

## „ნუველ ობსერვატერ“

სერჟ რაფი



# თბილისი—გორბილებისაგან განთავისუფლების ჟამი

მადისაღმძვრელად გამოიყურებოდა. მატარებელი, დოკუმენტაცია, ვეტერინარული ბეჭედი — ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვითაა... მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდნენ საქართველოს სახალხო ფრონტის წევრები, რომლებიც გეიგერის მრიცხველით იყვნენ აღჭურვილნი. დასკვნა განსაცვიფრებელია: ხორცი რადიოაქტიულია. ეჭვგარეშეა — ჩერნობილი. მწვანეებმა ისიც გამოარკვიეს, რომ ხორცი მრავალი თვის მანძილზეა გზაში. საქართველო შოკის მდგომარეობაშია — მოსკოვიდან რადიოაქტიული ხორცი გამოიგზავნა. ყველაფერი ეს დაუყოვნებლივ გადაიცა საქართველოს ტელევიზიით. მოვიდა ბრძანება — „ხორცი ადგილზე დაიმარხოს“. მწვანეები წინ აღუდგნენ ამას და ვაგზლის ბლოკირება მოახდინეს. მოსკოვი იძულებული შეიქნა, უკანვე დაებრუნებინა რადიოაქტიული ტვირთი. უკან სად? — სახელმწიფო საიდუმლოა. საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ განაცხადა: „დღეს ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოსკოვმა 1200 ტონა რადიოაქტიული ხორცი გამოგზავნა საქართველოში“. რადიოაქტიულ ხორცთან დაკავშირებული ამბები მოსკოვის იმპერიული პოლიტიკის კიდევ ერთი შესანიშნავი მტკიცებაა არაფორმალებისთვის. უცნაურია, მაგრამ ყოველივე ამას ხალხში პანიკა არ მოჰყოლია, არც თბილისში და არც პროვინციაში, თითქოს ქართველებმა „იმპერიის დანაშაულთა“ ნუსხას ესეც მშვიდად მიათვალეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ვერც სტალინმა, ვერც ხრუშჩოვმა და ვერც ბრეჟნევმა ვერ შეძლეს საქართველოს გარუსება.

ქართველები გულითადი, სტუმართმოყვარე და მხიარული ხალხია. უყვართ დიდებული ღვინო და პოეზია.

ქართული კულტურა, მისი ენა და ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. არის რაიმე საერთო ნიშნები რუსულ კულტურასთან? — არა, არაფერია საერთო. რუსეთში ჩრდილოური ცივილიზაციაა, რუსეთი არყის ხეების ქვეყანაა. საქართველო კი სამხრეთისკენ არის მიმართული.

ქართველებს ბიზნესიც უყვართ. აქაური შავი ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე აყვავებულია იმპერიაში. 70-იან წლებში, როდესაც ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი იყო, მან ომი გამოუცხადა „საქმოსნებს“, დაიწყო მათი დაპატიმრება. ეს ამაო გარჯა იყო. ქართველებს ხომ ლამაზი ცხოვრება უყვართ და სძულთ კომუნიზმი.

თბილისი. მაისის საღამო. რუსთაველის გამზირი, საქართველოს დედაქალაქის მთავარი არტერია. მთავრობის სახლის წინ ხალხი სანთლებს ანთებს და ყვავილები მოაქვს. ეს უკვე რიტუალური ქმედებაა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა პატივის მისაგებად. ამ დღეს საბჭოთა არმიას ებრძანა თავისუფლების გრანდიოზული მანიფესტაციის გარეკვა, მაგრამ დემონსტრანტთა გარეკვის ნაცვლად იყო ხოცვა-ჟლეტა. მოკლეს ქალები და ბავშვები. სამხედროებმა მომწამლავი გაზი გამოიყენეს. საშინელი ტრაგედიაა. ამან მეტად გააქტიურა განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია ამბობს: „9 აპრილმა ელექტროშოკივით იმოქმედა ქართველ ხალხზე. ამ საშინელმა ხოცვა-ჟლეტამ საქართველო სამოცდაათწლიანი ძილისაგან გამოაფხიზლა“. ბალტიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ 40 წელია არსებობს კომუნისტური რეჟიმი, საქართველოს ანექსია 1921 წელს მოხდა. დღევანდელი თბილისი დიდ პოლიტიკურ ფორუმს ჰგავს. ქართველები შიშისგან განთავისუფლდნენ. ისინი ახლა უკვე ხმამაღლა ოცნებობენ თავისუფლებაზე.

15 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოეყო საბჭოთა კავშირის ფედერაციას და დამოუკიდებელი გახდა. ეს პოლიტიკური აქტია. საქართველო ნელა და დაჟინებით მიიწევს თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობით საქართველო რეკორდსმენია. მას „ასპარტიულ რესპუბლიკას“ უწოდებენ. „ჩვენ დავთვალეთ, — ამბობს კულტურის მინისტრის მოადგილე რევაზ ამაშუკელი, — რომ ერთი წლის მანძილზე ერთი პარტიიდან მოვედით 127 პარტიამდე. ვითომ ეს კარგ შედეგს მოიტანს?“.

1990 წლის მაისში თბილისელი თავს ბედნიერად და თითქმის თავისუფლად გრძნობს. მთელი რუსთაველის გამზირი აჭრელებულია არაფორმალურ ორგანიზაციათა სხვადასხვანაირი განცხადებებით. ჯიხურებში იყიდება ათობით არაფორმალური გაზეთი. კინოს სახლთან მიმდინარეობს საოკუპაციო ჯარში, ე. ი. საბჭოთა არმიაში გაწვევის წინააღმდეგ მიმართული მიტინგი. ეს დიდი საპროტესტო მიტინგია, მაგრამ არც სამხედროები და არც მართლმსაჯულება არ ერევა. მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს: „ისინი თვალებს ხუჭავენ. არ ვიცი, რამდენ ხანს იქნება მოსკო[illegible] არ უნდა გავჩერდეთ“. იქვე ახლოს ნახავთ ადამიანთა დიდ ჯგუფს, რომლებიც უარს ამბობენ საბჭოთა პასპორტზე. რანაირ პარტიას აღარ შეხვდებით თბილისის ქუჩებში. მონარქისტულსაც კი. ქართველი როიალისტები მეფე გიორგის ჩამოყვანაზე ოცნებობენ საქართველოში. იგი ამჟამად ემიგრაციაშია ესპანეთში და უახლოეს მომავალში აპირებს საქართველოში სტუმრად ჩამოსვლას. მონარქისტულ პარტიაში 700-მდე წევრია, მაგრამ თანამგრძნობთა რიცხვი გაცილებით დიდია.

ძალიან პოპულარულია ამჟამად ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ერთ შაბათ დღეს სიონის საკათედრო ტაძრის გაჩირაღდნებულ თაღებქვეშ ახალგაზრდა მღვდელი ჯვარს სწერდა საკმაოდ ჭარმაგ წყვილს. ისინი მთელი ცხოვრება ოცნებობდნენ ამაზე, მაგრამ ადრე ეს შეუძლებელი იყო. „ჩვენ ძალიან ბევრ ასაკოვან წყვილს ვწერთ ჯვარს, რომლებსაც უწინ ჯვრისწერა არ შეეძლოთ, — ამბობს მღვდელი, — ჯვრისწერა და, რაღა თქმა უნდა, ნათლობა ახლა ჩვეულებრივი მოვლენაა“. „სამიოდე წლის წინ თბილისის სასულიერო სემინარიას სამი მსმენელი ჰყავდა, რომელთაგან ორი სუკ-ის აგენტი იყო, — აღნიშნა გია ჭანტურიამ, — 1990 წელს კი ასობითაა ანაფორის ჩაცმის მსურველი. გაიხსნა სასულიერო აკადემია“. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკლესია განმათავისუფლებელ მოძრაობაში? როგორც ჩანს, არა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი ილია II არ ჰგავს ადამიანს, რომელსაც სხვადასხვა ამპლუაში ეხერხება გამოსვლა. იგი ქრისტიანულ კანონებს უქადაგებს თავის ერს. „ილია II-ს სურს ყოველგვარი პროვოკაციის თავიდან აცილება. მას არ უნდა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა რაიმე გზით ჩაითრიონ რელიგიურ ომში. არ დაივიწყოთ, რომ ჩვენი სამხრეთელი მეზობლები არიან თურქეთი და ირანი“, — თქვა სასულიერო აკადემიის მსმენელმა.

სახლი, რომელიც მაჩაბლის ქუჩაზე მდებარეობს, ტიპიური ქართული შენობაა ხის აივნებით, შუშაბანდებით. ამ მშვენიერ სახლში ცხოვრობდა ბერია — სტალინის ეპოქის [სა]ხელი ფიგურა. ჯერ კიდევ [illegible] ეხიძე კვირის უკან შენობა ეკუთვნოდა [illegible]ომკავშირს, ახალგაზრდა კომუნისტებს. ამ[illegible] [illegible]ის აპრილში შენობის ნაწილი ჰელსინკ[illegible] ჯგუფის წევრებმა დაიკავეს, რათა იქ [illegible]აბანაკდეს ოპოზიციის ცენტრი. მილიცია ამ[illegible] რადაც არ ჩაერია. როგორ ავიცილოთ [illegible] [საქ]ართველოს „ლიბანიზაცია“? როგორ ავიცილოთ დესტაბილიზაცია და უმართავი სიტუაცია ქვეყანაში, სადაც ცხოვრობენ ქრისტიანები, მაჰმადიანები, ებრაელები, აგრეთვე ოსები, აფხაზები და სხვები? როგორ შეიძლება ხალხისა და პარტიების ასეთი რაოდენობის მართვა? პატარა გაცხარებას ხომ შეიძლება ეროვნული კატასტროფა მოჰყვეს. დაველოდოთ ქართველ შარლ დე გოლს, რომელიც არავითარ კომპრომისს არ სცნობდა და რომელმაც ერი გააერთიანა? არის დღევანდელ საქართველოში ადამიანი, რომელიც შესძლებს კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას?

იგი მხრებში ოდნავ მოხრილია და ცოტათი სევდიანი მზერა აქვს. ლაპარაკობს აუჩქარებლად, ყოველ სიტყვას სწონის. მან საკუთარ მხრებზე გამოსცადა სუკ-ის აპარატის მთელი სისასტიკე. ზვიად გამსახურდია სპეციალობით ამერიკანისტია. თა[რ]გმნილი აქვს ქართულად ბოდლერი. უიტმ[ე]ნის კარგი მცოდნეა. ლექსებს წერს. გამსახურდია დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია ნაციონალიზმის შეხამება ტოლერანტულობის იდეებთან საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენელთა მიმართ. მას რთული ბიოგრაფია აქვს. 1956 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, იგი მოწმე გახდა საშინელი ძალადობისა საკუთარ ხალხზე, როდესაც თბილისის ქუჩებში დახვრიტეს ქართველი სტუდენტები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. იმ წლებში წითელი არმია არ ებოდიშებოდა დემონსტრანტებს. ზვიად გამსახურდიას წინაშე დაჟინებით მეორდებოდა ერთი და იგივე სურათი — ჯარისკაცები მტკვარში ყრიან მოკლულებს. მშობლები ღამით ასაფლავებდნენ დაღუპულ შვილებს ჯარისკაცების მეთვალყურეობით. შემდეგ კი სულის გამყინავმა შიშმა მოიცვა ხალხი. საერთო დაძაბულობა.

უკვე იმ წლებში ზვიად გამსახურდიამ შექმნა ოპოზიციონერთა ჯგუფი. დაპატიმრება. განთავისუფლება. 1976 წელს გამსახურდია აფუძნებს ჰელსინკის ჯგუფს. 1977 წელს მას კვლავ აპატიმრებენ, მაგრამ ამჯერად ათავსებენ სერბინსკის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოსკოვთან. სხვადასხვა ციხეების მოვლის შემდეგ გამსახურდიას [illegible] ლოს კასპიის ზღვის ჩრდილოეთით ასახლებენ.

1989 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდია მიტინგს ხელმძღვანელობდა. იმ საზარელი ღამის შემდგომ დილას იგი სხვა არაფორმალებთან ერთად დააპატიმრეს. საქმის ძიება მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შეწყდა ვაცლავ ჰაველის ჩარევის შედეგად.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ზვიადმა, ასე ძიძა[ვ]თავენ მას მეგობრები, ვერ იცნო საქართველო. მოხდა საოცარი მეტამორფოზა — ქვეყანა აღარ აზროვნებდა ჩვეული, სოციალისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი კატეგორიებით. ახლა უკვე მთელი საქართველო მოითხოვდა თავისუფლებას. გამსახურდია ამბობს: „ჩვენ მოსკოვისაგან არ მოვითხოვთ საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არასოდეს შევსულვართ ამ კავშირში“. 1918 წელს საქართველო იყო მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა. 1921 წელს ბოლშევიკებმა მოახდინეს საქართველოს ანექსია. ძველი თაობის ხალხი ამბობს, რომ ისინი მხოლოდ 1918-დან 1921 წლამდე გრძნობდნენ თავს ბედნიერად, მთელი შემდგომი პერიოდი კი საქართველო გარედან ძალით მოხვეული კომუნისტური რეჟიმისაგან იტანჯებოდა. დიახ, ბევრი რამ შეიცვალა ამჟამად საქართველოში. ოპოზიციური პარტიის ლიდერები საქართველოს ტელევიზიით ღია დებატებს მართავენ მოსკოვთან. გამსახურდია სამხედროებს „ბატონ ოკუპანტებს“ უწოდებს. როგორ იქცევა ამ ვითარებაში საქართველოს კომპარტია? ნეიტრალიტეტს იცავს. 9 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა 1921 წელს რესპუბლიკის ანექსირების ფაქტი. საქართველოს აღარ სჯერა დიალექტიკური მატერიალიზმისა, მაგრამ მთელი საქართველო ფიქრობს ასე? გორი პატარა ქალაქია, თბილისიდან 40 კმ-ის დაშორებით. აქ დაიბადა სტალინი. ეს ქალაქი უკანასკნელი ბასტიონია, სადაც პატივს სცემენ სტალინის სახელს. ომის ვეტერანი ზურაბ მურადოვი 67 წლისაა. ბელორუსიაში იბრძოდა. ამხანაგ მურადოვს ძველი დროების ნოსტალგია აქვს: „არ მიყვარს გორბაჩოვი. ყველა ეს დემოკრატიული, ქრისტიანული, ლიბერალური და სხვა პარტიები ბოლოს ერთმანეთს გადახვრეტენ“. თუმცა ამ საკითხზე გორშიც არ არის ერთსულოვნება. ასე არ ფიქრობს, მაგალითად, ქალაქის მერი ზურაბ ნამიჩეიშვილი. იგი მიესალმება საჯაროობას და საქართველოს დამოუკიდებლობას. კითხვაზე, თუ როგორ ათავსებს ერთმანეთთან თავისუფალ აზროვნებასა და სტალინის ძეგლს, ბატონმა მერმა მიპასუხა: „საქმე ისაა, რომ სტალინი ისტორიის კუთვნილებაა. დროთა განმავლობაში იგი დავიწყებას მიეცემა, მაგრამ ისტორია უნდა შევინარჩუნოთ“.

ერთ კვირა დღეს ვაზით დამშვენებულ ძველებურ ქვის სახლში, საიდანაც თბილისის მშვენიერი ხედი იშლება, დაფიქრებულმა ზვიად გამსახურდიამ ასე დაასრულა ჩვენი დიალოგი: „საქართველოს დამოუკიდებლობა ახლა უკვე გარდაუვალია. ერთია, ჩვენ კიდევ არ ვიცით, რის გაღებას მოითხოვს ჩვენგან მოსკოვი. კვლავ სისხლი თუ ეკონომიკური ბლოკადის საშიშროება? ჩვენი ქვეყანა მდიდარია, ეკონომიკური ავტონომიისათვის ლიტვაზე და სხვა ბალტიის ქვეყნებზე მეტი შესაძლებლობები გვაქვს. აქ არის ნავთობი, ელექტროენერგია, ნაყოფიერი მიწა, ზღვა, მთები. ჩვენ ბალტიისპირელთა გზას არ გავყვებით. უარს ვამბობთ კომუნისტებთან თამაშზე. სამოცდაათი წლის მანძილზე კომუნისტებს ტერორში ჰყავთ ხალხი. ახლა მათ ხარაკირი უნდა გაიკეთონ. ბოლოს და ბოლოს, ეს ღირსების საკითხია“.

გამსახურდია ნელი მოძრაობით გაადევნებს თითს ევროპის რუკას — შავი ზღვა, სტამბული, ათენი, რომი, — და ამბობს: „მერწმუნეთ, მალე გვექნება პირდაპირი ხაზი თბილისი-პარიზი, მოსკოვში წასვლა აღარ დაგვჭირდება. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ჩვენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწილი ვართ. რუკაზე დახედვაც კმარა, რათა ამაში დარწმუნდეთ. ვოცნებობ იმ დროზე, როცა ხორცის შემოწმება აღარ დაგვჭირდება, როდესაც რუსთაველის გამზირზე ბევრი კაფე იქნება და შესაძლებელი გახდება, მშვიდად იჯდე იქ და ცის ლაჟვარდს უცქირო...“

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი თუ იქნება პოეტი?..

**სერჟ რაფი**

ფრანგული ჟურნალი „ნუველ ობსერვატერ“, № 1335, ივნისი, 1990 წ.

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, უაზბეგის ქ. №17. ტელ.: 292-081.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი